საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება

თბილისი, 2025 წლის 12 ნოემბერი

№89/1-XIმ3

დიუშენის კუნთოვანი დისტროფიით დაავადებული პაციენტების მშობლების ორგანიზაციის „ერთად ვებრძოლოთ დიუშენის კუნთოვან დისტროფიას“ მიერ წარმოდგენილ საქართველოში დიუშენის კუნთოვანი დისტროფიით დაავადებული პაციენტებისათვის მედიკამენტების დაფინანსების შესახებ პეტიციაზე ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 227-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. დიუშენის კუნთოვანი დისტროფიით დაავადებული პაციენტების მშობლების ორგანიზაციის „ერთად ვებრძოლოთ დიუშენის კუნთოვან დისტროფიას“ (ზაქრო გვიშიანი) მიერ წარმოდგენილი (№1-9893/25; 11.11.2025) საქართველოში დიუშენის კუნთოვანი დისტროფიით დაავადებული პაციენტებისათვის მედიკამენტების დაფინანსების შესახებ პეტიცია თანდართულ მასალებთან ერთად გადაეცეს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტს.

2. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა პეტიციის მისთვის გადაცემიდან 1 კვირის ვადაში დადგენილი წესით შეამოწმოს ხელმოწერების ნამდვილობა და შედეგები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — გიორგი ვოლსკი